



# ბიულეტენი

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის  
ყოველთვიური საინფორმაციო ორგანო

№1-2 (55-56) იანვარი-თებერვალი 2012 წელი



წმ. მიწათმოქმედის დღის აღსანიშნავად

# მეტრიქის სვენეში



გიულეტენი გამოდის 2007 წლის ივლისიდან

# პუა აღანიანთა გზაჯისაჲნი

გასული წლის ღონისძიებები გარკვეულწილად უფრო ნაყოფიერი იყო უწინდელთან შედარებით. ჩვენდა სასიხარულოდ, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულთა ოჯახების ახალი თაობიდან ბევრმა წარმოაჩინა შემოქმედებითი ტალანტი და დედაქალაქის კულტურულ ცხოვრებაში თვალსაჩინო ადგილი დაიკავა. ეს ახალგაზრდები გახდნენ ჩვენი მოღვაწეობის ძირითადი საყრდენი ძალა. ახალ გარემოსთან შეგუება, სიკეთისა და იმედის ხარისხის ამბალევა შეიმჩნეობა იმ ადამიანთა შორისაც, ვინც ამ ღონისძიებებს ესწრებოდა — იქნებოდა ეს საკონცერტო დარბაზი თუ დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ადგილი. სულიერებისა და კულტურის ცენტრი მადლიერებას გამოხატავს იმ დაწესებულება-ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც მხარში გვედგნენ ჩვენი სამუშაო გეგმის განხორციელებისას. მათ რიცხვში, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ: აფხაზეთის მთავრობა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს მუსიკალური საზოგადოება, მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრი „მუზა“, ხელის ჩრდილების თეატრი „ბუდრუგანა-გაგრა“, საქართველოში არსებული ჩეხეთის სათვისტომო „ზლატა პრალა“, გერმანული ასოციაცია „აინუნგი“ და სხვ.

საანგარიშო წელს ჩვენს საქმიანობაში კვლავაც პრიორიტეტი იყო ზრუნვა ადამიანთა სულიერ ამბალევაზე, რწმენის განმტკიცებასა და ურთიერთპატივისცემის დანერგვაზე, რაც, საერთო ჯამში, უსაფუძვლოდ დაჩაგრული მოსახლეობის სიყვარულისკენ მობრუნებას ემსახურებოდა. ამ მხრივ ჩვენი მონდომება მოიცავდა საზოგადოების ყველა ფენას.

ბავშვებისა და მოზარდთათვის სახალისო გამოდგა რამდენიმე საახალწლო ღონისძიება, რომლებიც გაიმართა წლის დასაწყისსა და ბოლო თვეებში, თბილისსა და რუსთავში; გიორგობის დღესასწაულზე აფხაზეთის №2 საჯარო სკოლაში, სადაც ცენტრის ხელმძღვანელობით ფუნქციონირებს ბიბლიის ოთახი, მოძღვარს — დავით კონჯარიას ვაკურთხებიანეთ სკოლა, მისი პედაგოგები და აღსაზრდელები. მოსწავლეებმა მოისმინეს სასულიერო პირის საინტერესო მონათხრობი წმიდა გიორგის მონამეობრივ ცხოვრებაზე და მიიღეს საჩუქრად პატრიარქის მიერ დაწერილი წმ. სამების ხატები. დიღმის მიუსაფარ ბავშვთა სახლში წარმოვადგინეთ „ბუდრუგანა-გაგრას“ სპექტაკლი „წელიწადის დრონი“, ამასთან გადავიცით საპატრიარქოს მიერ გამოყოფილი საჩუქრები. საინტერესო იყო თანამშრომლო-

ბა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. სტუდენტებისათვის მოეწყო არაერთი შეხვედრა, რომელთა შორის გამოირჩეოდა წმ. სამების საკათედრო ტაძრის ზარების შემქმნელ, კომპოზიტორსა და ლექსების ავტორ ნოდარ მისაშვილსა და მხატვრული კითხვის ოსტატ ელდინო სალარაძესთან. სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი ილია II მიერ წმ. სვიმონ კანანელის ტაძრის კურთხევის ცერემონიაში. დეკანოზ ბიძინა გუნიას ხელმძღვანელობით უნივერსიტეტში განხორციელდა, აგრეთვე, თეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა. ჰუმანიტარული ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის მესამეკურსელებმა მოამზადეს კომპოზიცია ციცინო ჯულუხიძის მოთხრობებიდან და შეხვედრა გაუმართეს ავტორს.

ძირითადად სტუდენტური აუდიტორია დაესწრო წლის ერთ-ერთი უმნიშვნალოვანესი მოვლენის — ვაჟა-ფშაველას დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოს „აფხაზეთის შემოქმედებითი ძალები ვაჟა-ფშაველას საიუბილეოდ“. საღამო დადგა თეატრალური უნივერსიტეტის სარეჟისორო ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა, ოჩამჩირელმა ლევან ხვიჩიამ, რომელმაც რუსთაველის ექსპერიმენტული თეატრის თავნახუ განახორციელა 2 სპექტაკლი. თავის ახალგაზრდა თანამემამულეთა შორის დღეს ყველაზე წარმოჩენილია ნიჭით გულუხვად დაჯილდოებული რუსთაველის თეატრის მსახიობი ლევან ხურცია, რომელიც კინოსა და ტელევიზიის ერთ-ერთი ცნობადი სახეცაა. სწორედ იგი იყო ვაჟა-ფშაველას საიუბილეო საღამოს წამყვანი. ამავე საღამოზე პირველი საჯარო გამოვლდა ჰქონდა ქალთა ტრიოს, რომელიც ჯერ კიდევ სოხუმში სასკოლო ზეიმების მიხედვით იყო და ახალგაზრდა კომპოზიტორ ლალი საბანაძეს, წარმოშობით გაგრელს. ამ უკანასკნელმა საგანგებოდ საიუბილეო საღამოსათვის ვაჟას ლექსზე დაწერა და ერთ-ერთ შემსრულებლადაც წარუდგა მაყურებელს ნაწარმოებით „ალარ მწაღია ვიმდერო“. აგრეთვე, წარმატებული აღმოჩნდა 2011 წელი სოხუმელი სალომე ჯიქიასათვის; მან დაამთავრა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია ფორტეპიანოს, ხოლო ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური პირველი სამუსიკო სასწავლებელი ვოკალის სპეციალობით. იგი ჩვენი რეკომენდაციით ბათუმის „ღამის სერენადების“ ფესტივალის დასკვნითი კონცერტის პროგრამაში იქნა ჩართული.

მოზარდებისათვის ჩატარებული ლო-

ნისძიებებიდან გამოყოფას იმსახურებს, აგრეთვე, რუსთავის კომპაქტურად ჩასახლებული მოზარდების მოლოცვით მოგზაურობაში წაყვანა მარშრუტით — მახათას მთა, წმ. სამების საკათედრო ტაძარი, სიონი, სადაც მათ ჩააბარეს აღსარება, ეკურთხათ ჯვრები და სამახსოვროდ ზეციურ ცეცხლზე ანთებული სათლები გადაეცათ.

დევნილი ბავშვები, რომლებიც მუსიკალურ განათლებას იღებენ სხვადასხვა სკოლებსა და სტუდიებში, მონაწილეობდნენ ტრადიციული საბავშვო მუსიკის კვირეულის პროგრამაში, რომელსაც ატარებს საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი, კონცერტით „ჩემი აფხაზეთი“.

ცენტრმა არსებობის მოკლე პერიოდში დაამკვიდრა ისეთი თარიღების აღნიშვნა, როგორცაა „იმედისა და ხსოვნის დღე“, „დიმიტრი გულიას დაბადების დღე“. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პირველთან დაკავშირებით შეკრებილი სოხუმელების მოგონებებში წელს მხოლოდ მადლიერებისა და სიყვარულის ინტონაცია მძლავრობდა და ეს თითოეულის გულს ისეთ სიმბნევებს აძლევდა, რომ შეხვედრის დასრულების შემდეგ ერთმანეთთან დაშორება უჭირდათ. ყოველ წელს განსხვავებული ფორმით აღინიშნება დიმიტრი გულიას დაბადების დღე — 21 თებერვალი. ამჯერად მას სამეცნიერო კონფერენცია მიეძღვნა, რომელშიც მონაწილეობდნენ აფხაზეთის სამეცნიერო ელიტა და საქართველოს მწერალთა კავშირის წევრები.

დედაენის დღეს გამოვეხმაურეთ ნიგნ „სამურზაყანოელი ბულბულის“ პრეზენტაციით. საღამოზე მოგონებებში გაცოცხლდა გაღვლი ლოტარის კონსტანტინე ჩიკვატიას ცხოვრება და შემოქმედება. მას დაესწრნენ დევნილები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. საღამოს მხატვრულ პროგრამაში სხვა შემსრულებლებთან ერთად მონაწილეობა მიიღო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გოგონათა გუნდმა ვებდენ ოკუჯავას ხელმძღვანელობით.

ჩავატარეთ რამდენიმე ერთობლივი ღონისძიება: საქართველოში ჩეხეთის სათვისტომო „ზლატა პრალასთან“ ერთად აღვნიშნეთ ვეროპის კულტურული ცხოვრების ისეთი მოვლენა, როგორც იყო ჩეხეთის კონსერვატორიის დაარსების 200 წლისთავი; საქართველოში გერმანელთა ასოციაცია „აინუნგთან“ ერთად ასოციაციის დაარსების 20 წლისთავი; ქალთა საერთაშორისო დღე ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ერთად, რომელთაც სამახსოვრო საჩუქრები

(გაგრძელება მე-4 გვ.)

(დასაწყისი მე-3 გვ.)

გადასცეს ცნობილ სოხუმელ ქალბატონებს; მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებასთან ერთად სვეტიცხოვლობის ზეიმში საეკლესიო ნაქარგობის წრის წევრების ნამუშევრების გამოფენა.

ვიზრუნეთ იმაზეც, რომ ჩვენი თანამემამულეებისათვის გაგვეცნო ხელოვნების ამა თუ იმ დარგის სიახლეები. ამ მიზანს ემსახურებოდა დასწრება ლამარა ჭყონიას იუბილეზე ბათუმის ახალ საოპერო თეატრში, მარიონეტების თეატრის სპექტაკლზე „სტალინგრადის ბრძოლა“, ხელოვნების მუზეუმში ედმონდ კალანდაძის გამოფენაზე და სხვ.

განსაკუთრებით ნიშანდობლივი გამოდგა საანგარიშო პერიოდი საქართველოს საპატრიარქოსთან ცენტრის თანამშრომლობის თვალსაზრისით, რისი დასტურიცაა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II მიერ შობის დამეს ცენტრის თავმჯდომარის დაჯილდოვება საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი — წმ. გიორგის ოქროს

ორდენით; სხვადასხვა ერთობლივი ღონისძიებების ჩატარება, საეკლესიო დღესასწაულებში ცენტრის თანამშრომელთა ჩართულობა და უწმიდესის კურთხევით სილამაზესა და მშვენიერებაზე წიგნის გამოსაცემად მასალების მომზადება.

წლის სამუშაო გეგმა პრაქტიკულად განხორციელდა, მაგრამ ეს თვითკმაყოფილების უფლებას არ გვაძლევს, რადგან:

1. ბევრმა მნიშვნელოვანმა ფაქტმა ჯეროვანი ასახვა ვერ ჰპოვა. ამის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ თუნდაც ის, რომ თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში დაიდგა ბალეტი „აჭარპანი“ — ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ამსახველი შესანიშნავი მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ტილო, რომელიც რუსთაველის თეატრის ნახევრად ცარიელ დარბაზში ჩატარდა, მაშინ, როდესაც სპექტაკლის თემა და შინაარსი, განხორციელების მაღალმხატვრული დონე ნამდვილად იმსახურებს სახელმწიფოებრივი ჟღერადობის მინიჭებას;

2. ვერ განხორციელდა რამდენიმე საჭირო და საინტერესო იდეა: ვერ გა-

მოვნახეთ შესაძლებლობა დაგვეკმაყოფილებინა რეჟისორ გელა კანდელაკის შემოთავაზება, რომ აფხაზეთის ალუზარდოს კინოსა და თეატრის მოღვაწეთა ახალი ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდება საქართველოს რეგიონებში მცხოვრები ხატვის ნიჭის მქონე მოზარდებით.

და ბოლოს, ჩვენ შევქმენით და 2 თვის განმავლობაში ვამუშავეთ სოლისტების ანსამბლი, რომლის იდეა ახალგაზრდა სპეციალისტის, პიანისტისა და მომღერლის სალომე ჯიქიას არსებობამ განაპირობა და რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოში აფხაზური მობილური კოლექტივის „ალაშარას“ ჩამოყალიბებას, და რომლის შემდგომი ბედი ჯერ კიდევ გაურკვეველია. მიგვაჩნია, რომ უფრო აქტიურად გვმართებს დევნილი ახალგაზრდებისათვის ხელის შეწყობა, რათა მათი ყოველი მიღწევა რაც შეიძლება ფართო საზოგადოების მონაპოვარი გახდეს, ხოლო ჩასატარებელი ღონისძიებების შინაარსის გაღრმავებამ და ფორმის გამრავალფეროვნებამ ალაფრთოვანოს არა მარტო საქართველოს მოსახლეობა, არამედ ჩანვდეს ადამიანთა გულებს მის ფარგლებს გარეთაც.

# შაქრჩიარქის საჯარო საუბარში



თან, ერის წინამძღოლთან, რომელიც ჩვენი მშობლიური ქვეყნის სულისკვეთების მატარებელია, მისი მაჯისცემის უტყუარი შემგრძნობი.

წ ე ვ ა ნ დ ე ლ , 2012 წლის 5 იანვრის შეხვედრისათვის მზადება დიდი ხნით ადრე დაიწყეთ. ასეთ პიროვნებას, რომელიც უკვე მარტო თავისი არსებობით განიჭებს ბედნიერებას, ურთიერთობა კი

მე ათეული ახალგაზრდა მომღერლის მოსმენის შემდეგ შეირჩა 10 (ნაცვლად თორმეტისა). მათ დაინტერესებას, ერთი მხრივ, პატრიარქის წინაშე გამოსვლა წარმოადგენდა, ხოლო მეორე მხრივ — პატრიოტულ ნამოწყებამი მონაწილეობა — ანსამბლის შექმნის საბოლოო მიზანი ხომ უმაღლესი მრავალზმიანი ხალხური ფოლკლორის მქონე ქვეყანაში ეროვნული მუსიკალური შემოქმედების ექვივალენტური პროფესიული, მრავალჟანრული ანსამბლის შექმნა იყო. იდეა წარმოშვა იმ ფაქტმა, რომ 2011 წელს უმაღლესი მუსიკალური განთლება დაასრულა და მაშინვე აქტიურად და წარმატებით მოეწვინა საკონცერტო ესტრადას სოხუმიდან თბილისში გადმოხიზნული ერთ-ერთი ოჯახის წარმომადგენელი, პიანისტი და მომღერალი სალომე ჯიქია. სწორედ მასზე იყო სწორება დანარჩენი მომღერლების შერჩევისას. აქედან მომდინარეობდა სურვილიც, რომ ანსამბლს დარქმეოდა „ალაშარა“, აფხაზური სიტყვა, რაც ქართულად სხივს ნიშნავს. ქორმეისტერთან ერთად პროგრამაც შევარჩიეთ — 6 ნაწარმოები. ბახის მუსიკით დაწყებული — ხალხურით დამთავრებული, მათ შორის საგალობლები: პატრიარქის „წმიდაო ღმერთო“ და იოსებ კეჭყავაძის „ჰიმნი პატრიარქს“. მიუხედავად იმისა, რომ მუსიკოსებს მასალაზე მუშაობისათვის ცოტა დრო ჰქონდათ, ფაქტობრივად, ერთი თვე, შეძლებისდაგვარად ხშირმა შეხვედრებმა და თითოეული მათგანის პროფესი-

ბოლო პერიოდში ყოველი წლის გასაყარზე ორი მნიშვნელოვანი თარიღის — სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი ილია II აღსაყდრებისა და დაბადების დღეების — აღსანიშნავად ცენტრი აფხაზეთიდან დევნილთა სამთავრობო სტრუქტურების თანამშრომლებს შეხვედრას უწყობს საპატრიარქოში. ყოველ ჯერზე აქ მოსული ადამიანები — მხატვრული პროგრამის მონაწილე იქნებოდა ის თუ უბრალოდ, დამსწრე, სიკეთითა და მაღლით აღვსილი ვტოვებდით საპატრიარქოს. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ორი საათის განმავლობაში ისინი ურთიერთობდნენ მაღალი სულის ადამიან-

სულიერად გამაღლებს და გაძლიერებს, გათავისუფლებს ყოველდღიური საზრუნავის სიმძიმისაგან და რწმენითა და იმედით გავსებს (ეს კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დევნილებისათვის) ძნელია ღირსეული საჩუქარი უძღვნა. როგორც იქნა, მოვიფიქრეთ! გამოვნახეთ შესაძლებლობა და ორი თვით ადრე მოვიწვიეთ ნიჭიერი, ფართო დიაპაზონისა და დიდი გამოცდილების მქონე ქორმეისტერი გელა ფარჩუქიძე. ახლა საჭირო იყო მობილური ანსამბლისათვის შესაფერისი კადრების მოძიება. ამ პროცესს ართულებდა ის გარემოებაც, რომ მათ უსასყიდლოდ უნდა ემუშავათ 2 თვე. ერთი თვის მანძილზე რამდენი-

ონალიზმმა შესაძლებლობა მოგვცა ისე წარმდგარიყავით პატრიარქის წინაშე, რომ მისთვის და დამსწრე საზოგადოებისათვის სიამოვნება მიგვენიჭებინა. „ანსამბლის ყველა წევრს არ ვიცნობ, — ბრძანა პატრიარქმა, — ეს უნდა იყოს გუნდი საპატრიარქოსთან ერთად. უკვე ჩვენ დავმეგობრდით და ერთად ვიქნებით“. ანსამბლმა ექსპრომტად პატრიარქთან სტუმრად მყოფ მომღერალ ირაკლი ფირცხალავასთან ერთად კიდევ ორი სიმღერა: „სიმღერა თბილისზე“ და „საქართველოო, ლამაზო“ შეასრულა.

მხატვრულ განყოფილებას, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს, აგრეთვე, კომპოზიტორმა კახა ცაბაძემ და ნორჩიმა მომღერლებმა — კესო აბულაძემ და ლიკა ჯგერენიაიმ, მოჰყვა დამსწრეთა მოლოცვები ქართულ და აფხაზურ ენებზე. „უფალს მადლობა, რომ თქვენი თანამედროვე ვარ და მადლობა, რომ თქვენ წინაშე ვდგავარ დღეს აქ“, — ასე დაამთავრა თავისი მიმართვა პატრიარქისადმი ექიმმა ირინა ნორაკიძემ. საუკეთესო სურვილებთან ერთად აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავამ აფხაზეთის საზოგადოების სახელით პატიება სთხოვა უწმიდესს იმის გამო, რომ „ჩვენ ისეთები მაინც ვერა ვართ, როგორებიც უნდა ვიყოთ“. აფხაზეთის მთავრობის სახელით მიულოცა გიორგი ბარამიამ დაბადების დღე და შობა-ახალი წელი რწმენით, „რომ მალე დადგება დღე, როდესაც აფხაზები და სრულიად საქართველო ერთად მოგილოცავთ ამ დღეს“ და საჩუქრად დეკორატიული მცენარე გადასცა.

ქალბატონი ალა კუჩუბერიას აფხაზურ ენაზე მილოცვის შემდეგ ილია II დალოცა ყველა იქ მყოფი და გაიხსენა რამდენიმე უჩვეულო ამბავი თავისი ცხოვრებიდან, რომელიც მის აფხაზეთში ყოფნას უკავშირდებოდა:

„მომენტარა აფხაზეთი. მე 11 წელი ვიყავი აფხაზეთში. ყოველი ბუჩქი და ყოველი ქუჩა ვიცი იქ. იყო ასეთი შემთხვევა: მივდიოდი სოხუმში და აეროპორტში მოვიდა ვიღაც გენერალი, რუსი, აინტერესებდა მაინც საუბარი სასულიერო პირთან. შემდეგ მოვიდა ერთი ქართველი ადამიანი და მითხრა, მე დარბაისელი ვარო. მეგონა, დარბაისელი, ე.ი. კარგად

გაზრდილი. თურმე, გვარად ყოფილა დარბაისელი. მე ვუთხარი, ძალიან სასიამოვნოა, რომ დარბაისელი ხართ-მეთქი. ამ დროს გამოაცხადეს ჩასხდომა თვითმფრინავში. დაფუკარი თავი და ნავედი. ჩავსხედით და რომ ნავიდა თვითმფრინავი, უცბად გააჩერეს. გამოვიდა გამცილებელი ქალბატონი და გამოაცხადა, ვინაა აქ დარბაისელიო. გამიკვირდა — იქაც დარბაისელი, აქაც — დარბაისელი. ყველა გაჩუმებული იყო. შევიდა ისევ კაბინაში და გამოდის უფროსი, მოვიდა ჩემთან და „თქვენ დარბაისელი ბრძანდებითო?“ მე ვუთხარი, საიდან მოიტანეთ, რომ დარბაისელი ვარ-მეთქი. აი, ცნობილი სპორტსმენი გამოვიდა გზაზე, გააჩერა თვითმფრინავი და თქვა, ბიძაჩემია მაქ, სასულიერო პირი და ვერ დავეშვიდობეო. მე კი დავემშვიდობე, თავი დაფუკარი, მაგრამ მას სდომებია ხელის



გჭირდება-მეთქი. აფრინდა და დაჯდა ხეზე. მეც მივედი იმ ხესთან და ხელი გავუნოდე, მოდი-მეთქი, ჩვენ მეგობრები ვიყოთ. გადმოფრინდა იქიდან და დაჯდა ხელზე. სამზარეულოს კარები ღია იყო. მონოზონი იყო მზარეული. დავიძახე, მოგვიტანე საჭმელი, სტუმარი მოგვივიდა-მეთქი, მაგრამ სანამ ის გაიგებდა, ვინ სტუმარი, რა სტუმარი, ბელურა გაფრინდა. ასეთი შემთხვევები ბევრი იყო და ეს არ გამოდის ჩემი გონებიდან. ვფიქრობ, რომ ჩვენ მოვესწრებით მალე იქ ჩასვლას ღვთის წყალობით. ამას წინათ მოსკოვში ვიყავი და ჩემთან მოვიდნენ აფხაზები, ცალკე ოსები. გამოთქვამდნენ თავის სურვილს. მე ძალიან მამინებს ის, რომ აფხაზეთი არ დარჩეს აფხაზების გარეშე, მაგრამ ღმერთი, რა თქმა უნდა, არ დაუშვებს ამას.



ჩამორთმევა. გახსნეს კარი და ასე დაკიდებული დავემშვიდობე დარბაისელს. ეს ერთი. მეორე: სოფელ გეორგიევკის მახლობლად ცხოვრობდა ორი მონოზონი. ერთ დღეს ნახეს, კოჭლობით მოდის დათვი მათკენ. მივიდა. ესენი შეცვივდნენ კელიაში, პატარაზე გამოაღეს კარი და უყურებენ ამ დათვს. მივიდა დათვი კარებთან, ასწია თათი, რომლითაც კოჭლობდა და უჩვენა. აიღო მონოზონმა მარნუხი და ამოუღო ლურსმანი, მერე სისხლი წამოუვიდა, ალოკა ის სისხლი და ნავიდა. საღამოს სიმინდის ფუჩეჩი მოუტანა ამ მონოზონებს. ამით მადლობა გამოხატა ამ დათვმა. ისე შეეჩვია მერე ამ დედებს, საჭმელს უმზადდებდნენ.

ერთი შემთხვევა კიდევ ასეთი იყო: ჩვენ ვცხოვრობდით, ახლაც ვცხოვრობთ, თუმცა დიდი ხანია იქ არ ვყოფილვარ, ნინოშვილის 13 ნომერში, კურორტოლოგიის ინსტიტუტთან. მოვიდა ჩემთან მამა გაგი, რომელიც მონამეთაში მსახურობდა. გავედი ბაღში. გვექონდა საოცარი ვარდები, სოჭიდან ჩამოტანილი. ვსაუბრობთ. მოფრინდა ბელურა და რალაცას ჭიკჭიკებს. მისმა ჭიკჭიკმა ჩვენი ყურადღება მიიპყრო. მე დაფუნცე ლაპარაკი, რა გინდა, ხომ არაფერი



კიდევ ერთხელ გილოცავთ შობა-ახალ წელს. აქ იყო ნახსენები ხატი, უნიკალური, რომელსაც დავარქვით „საქართველოს იმედი“. ის მსგავსია ხახულის ღვთისმშობლისა. სულ ძვირფასი თვლებით — ბრილიანტებით და ზურმუხტებით არის მორთული. მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო ერთ რამეს: ეს არის ილორის წმ. გიორგის ხატი, რომელიც მე მაჩუქეს მოსკოვში. უკან ანერია, რომ ნაღებული ყოფილა რუსეთში. ერთმა ქართულმა ოჯახმა მოიტანა აეროპორტში — ჩვენ გვინდა გადმოგცეთ, გვემინია, არ დაიკარგოსო. ასე ჩამოვაბრძანეთ აქ და როცა ნავალთ აფხაზეთში, თან ნავილებთ. ღმერთმა დაგლოცოთ!“ შემდეგ უწმიდესმა სტუმრები ზამთრის ბაღში მიიწვია ულამაზესი ეგზოტიკური მცენარეების სანახავად.

შეხვედრა გახსნა და მიჰყავდა ცენტრის თავმჯდომარეს ქალბატონ სვეტლანა ქეცბას.

საღამოს დაესწრნენ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ჯონი აფაქიძე, საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი — წმ. გიორგის ოქროს ჯვრით დაჯილდოებული ექიმი ზურაბ ჩიქოვანი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები, მეცნიერები და კულტურის მოღვაწეები, სულიერებისა და კულტურის ცენტრის თანამშრომლები.

# წმინდათა სახელობის ცენტრის აფხაზეთის განყოფილება

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი ყოველწლიურად უწყობს აფხაზეთიდან დევნილ ბავშვებს პატარა დღესასწაულს — ულოცავს შობა-ახალწელს და გადასცემს საჩუქრებს. გასული წლის ბოლოს ასეთი ღონისძიება მოეწყო მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზაში“, რომელშიც 50 დევნილი მოზარდი მონაწილეობდა. ამჟამად ცენტრის თანამშრომლები ეწვივნენ ბავშვის სტუდენტალ-

ქის მე-3 კორპუსში ჩასახლებულ აფხაზეთიდან დევნილებს, ბავშვებს მიულოცეს შობა-ახალი წელი და საქართველოს საპატრიარქოს მიერ გამოგზავნილი საჩუქრები გადასცეს, აქციათ დიდი სიხარული გამოიწვიო პატარებში.

**ნინო უბირია:** „საოცარი სანახავი იყო ჩვენი ბავშვების გაბრწყინებული სახეები და მადლიერებით სავსე თვალები, როდესაც მათ სულიერებისა და კულტურის ცენტრის თანამშრომლებმა დღე-

სასწაული მიულოცეს და საჩუქრები გადასცეს. ეს კეთილშობილური შესტი არა მარტო პატარებისათვის, არამედ ჩვენთვის, მშობლებისთვისაც ძალიან სასიამოვნო იყო. მათ საჩუქრები უხაროდათ, ჩვენ კი ის ყურადღება, რომელიც ჩვენი ბავშვების მიმართ გამოიჩინეს. ყურადღება ხომ ზოგჯერ ნებისმიერ საჩუქარზე ძვირფასია! მადლობას მოვასხენებთ ამისათვის სულიერებისა და კულტურის ცენტრს“.

## „ყველაფერია პოეტის ლექსი“

ეს არის ციტატა დიმიტრი გულიას ლექსიდან, რომლითაც დაიწყო მორიგი, მეექვსე საღამო, მიძღვნილი დიდი აფხაზი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის დიმიტრი გულიას დაბადების დღისადმი 2012 წლის 21 თებერვალს საქართველოს მუსიკალური საზოგადოების დარბაზში. ამ ტრადიციას ფესვები წარსულში აქვს — სოხუმში, იმ ავბედით ომამდე, რომელმაც აფხაზები და ქართველები ენგურს გაღმა-გამოღმა მხარეებად აქცია, ამ დღეს, დიმიტრი გულიას სახლ-მუზეუმში, ყოველწლიურად იმართებოდა „გულიას კითხვის დღე“. დევნილობაში მყოფ აფხაზეთის საზოგადოებას არ დავიწყებია ის ღვაწლი, რომელიც ამ დირსეულმა აფხაზმა დასდო აფხაზებსა და ქართველებს შორის ძმური და კეთილშობილური ურთიერთობის განმტკიცებას. ამიტომაც 2006 წელს აფხაზეთის მთავრობამ მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის სვეტლანა ქეცბას ინიციატივით აღადგინა ტრადიცია და აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი დღემდე აგრძელებს მას. ყოველწლიურად სხვადასხვა სახით ხდება ამ დღის აღნიშვნა. წელს გადაწყვიტეთ აფხაზური პოეზიის საღამოს ჩატარება.



**ლეონიდ გულუამ, ჯაბა ჯანაშიამ** წაიკითხეს გიორგი შარვაშიძის, დიმიტრი გულიას, ჯანო ჯანელიძის, გენო და რენე კალანდიების, მურმან ხურცილავას, ტიტე მოსიას ლექსები. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „აფხაზური ფილოლოგიის“ სპეციალობის სტუდენტმა **თინათინ ბუხნიკაშვილმა** აფხაზურ ენაზე წაიკითხა შალვა ნეფხას ლექსი „აფსნი“. საღამო მუსიკალურად გააფორმა პიანისტთა საერთაშორისო კონკურსების ლაურეატმა, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორმა **ნინო კასრაძემ**. აჟღერდა ბახის, შუბერტის, რახმანინოვის, ნოდარ გაბუნიას ნაწარმოებები. დამსწრეებს მიესალმა და ცენტრს მადლობა გადაუხადა ამ ტრადიციის დამკვიდრებისათვის ამ დღისადმი მიძღვნილი ყველა ღონისძიების აქტიურმა მონაწილემ, პროფესორმა **ოთარ ჟორდანიამ**. საღამოზე საკუთარი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა **რენე კალანდიამ, დარიკო ფიფიამ, მანონ ბულისკერიამ**. დარიკო ფიფიამ დამსწრეებს წარუდგინა დამწყები პროზაიკოსი, მე-10 კლასის მოსწავლე **ნინო ნაჭყებია** მინიატურით „ფორთოხლისფერი სინათლე“.

რო სუფევდა. გულიდან წამოსული სტრიქონების მოსმენამ ყველა თითქოს იქ, აფხაზეთში დააბრუნა, გამძაფრდა მონატრების გრძნობა, მსმენელი პოეტური სამყაროს აქტიური მონაწილე გახდა, რისი დასტურიც იყო რენე კალანდიას მიერ დაწყებული ლექსის „ყველაფერში დამნაშავე იყო თივა“ კითხვა დარბაზიდან აიტაცეს და დაასრულა დარიკო ფიფიამ.

საღამოს ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია შეიკრა გიორგი შარვაშიძის ცნობილი ლექსით „გიორგის პასუხი აკაკისადმი“:

„შენი ტკბილი მგოსნის ენა, რა ხანია, არ მსმენია, ფუტკარმაცა იცის კენა, მაგრამ თაფლის გამჩენია. რაც უნდ მითხრა, მეგობარო, მე, შენს შეგირდს, მაძლევს ღვინას, რადგან ვიცი, უკეთ ხარო, მაღლსა ვწირავ ცას და ზენას. მაგრამ შენსა მაღალ ნიჭსა არ შეფერის უმართლობა: მოჰყოლიხარ ცოტა ჭორსა, მოგრევი იმერლობა. სვანი ყანით გადღეგრძელებს, მე, აფხაზი, წრფელის გულით, ვით სცოდნიათ ჩვენსა ძველებს, ძმობითა და სიყვარულით!“

აქვე გთავაზობთ საღამოზე წაკითხულ მანონ ბულისკერიასა და დარიკო ფიფიას ლექსებს:

**მანონ ბულისკერია**  
\*\*\*

**ექსპრომტად**

მხოლოდ იმიტომ... შენი მწერის სხივი დაგლანდნა  
ნაძვის ხმის წიწვებს შორის მქრქალი მწე რომ გამოურთა,  
ამეკვიტა ჭრუნტელი! ახლა ვადაძღებ  
სეგდან ვიგრებ და რა აწრი აქვს, როდის  
რა მოხდა  
(სულაც არ ვნადვლობ, გამოხედვას და ხმის იოგებს

დარბაზში საოცარი ატმოსფე-

ნისლი და ხრინწი რომ დამართა ხშირმა  
ნარეულემ) ...  
ვერმოძმრობილი მარტოობის ვრცელი  
სრიოვი  
აბიბინებულ უშენობას გამიადვილებს!

.....  
მისმენ და ახლაც, როგორც მაშინ, უხმოდ  
იცი, უხმოდ  
მარწმუნებ — ეავლი რომ გუგა ას გრამ  
კონიაეს...

ნამვის წიწვებზე ნამია და ისლა ციმციმებს...  
ნაბახუსეგზე აღტაცება ვის არ ჰქონია!

**დარიკო ფიფია**

\* \* \*

წვიმამ დასველა დღეები მტკრიანი,  
ნელა მიუყვები აღმართს,  
შენსე ფიქრიანი, შენსე დარდიანი,

შენსე ცრემლიანი ძარად.  
იქ ზღვა ძელოდება, მალე გავმცდები,  
სუნთქვაწართმეულს ვგავარ,  
ჩემი ქვეყნის ბედო, ცხენით დავუწვი,  
ძაინც დავბრუნდები, წავალ.

ზალმებს ესიმძრებათ ჩემი მონატრება,  
ვის უქსოვს ზურმუხტის კაბას,  
გული ცატიყდება, გონობა მოხლავდება,  
ძაინც დავბრუნდები, წავალ.

მალლა მთაწმინდა წევს ბინდში ვახეული,  
ნელა მიუყვები აღმართს,  
შენსე ფიქრიანი, შენსე დარდიანი,  
შენსე ცრემლიანი ძარად.

\* \* \*

თითქოს დაუმორდი და მიჯატოვე,  
თითქოს ტკივილები აღარ გეყო,  
თითქოს დაუმორდი და მიჯატოვე,  
თითქოს ტკივილები აღარ გეყო,

მანჩობს უშენობა, სიმარტოვე,  
ჩემი სულის სუნთქვა, აფხაწეთო.

გულზე დაწოლილო მძიმე ტვირთო,  
თვალზე შეჩხენილო ცრემლის ნამო,  
ჩემო ჰატარა და დიდზე დიდო,  
აღარ დაიჯერო, სხვისი ვარო!

როგორ მოგეფერო, ვერ მიუწვდები,  
როგორ გეამბორო, მომიტყევე,  
ო, ამ ტანტყეცილზე, შევბირდები,  
იებს ვადაჯერი დაჭრილ შევრდზე.

თითქოს დაუმორდი და მიჯატოვე,  
თითქოს ტკივილები აღარ გეყო,  
მანჩობს უშენობა, სიმარტოვე,  
ჩემი სულის სუნთქვა, აფხაწეთო.

*ქროს ძმს კოლოსიონი: გუარობა, ღვათხასე, მაქრო, ვაჩო, მაიძობ, დანი, ვაქანშეო,  
რამბს და თაოსმანი — კოლოსი, მექკროის სათავესთან ქვეთ ჩაქოლოიონი (VI)  
22 (06.03) თებერვალი*

წმიდა მონამე ცხრა კოლაელი  
ყრმა VI საუკუნეში აღესრულნენ  
მონამეობრივად. ისინი მდინარე  
მტკვრის სათავეში საკუთარ მშო-  
ბელთა მიერ იქნენ ჩაქოლილნი  
ქრისტეს აღსარებისთვის.

სოფელი კოლა მდინარე მტკვრის  
სათავეში მდებარეობდა. აქ გვერ-  
დიგვერდ ცხოვრობდნენ ქრისტიანე-  
ბი და წარმართები. უმეტესობა კერ-  
პთაყვანისმცემელი იყო.

ქრისტიანთა და წარმართთა ბავშ-  
ვები მთელი დღეების განმავლობაში  
ერთად თამაშობდნენ. საღამოობით,  
როცა სოფლის ეკლესიაში მწუხრის  
ზარებს დარეკავდნენ, ქრისტიანი  
ბავშვები თამაშს თავს ანებებდნენ  
და ტაძარში მიდიოდნენ სალოცა-  
ვად. ქრისტიან ბავშვებთან ერთად  
წარმართი ყრმები ეკლესიამდე მიუყ-  
ვებოდნენ მათ თანატოლებს, მაგრამ  
ტაძარში ვერ შედიოდნენ. „თქვენ  
შვილნი ხართ მეკერპეთანი და არა  
ჯერ არს შემოსლვა თქუენი სახლსა  
ღმრთისასა“ ეუბნებოდნენ მათ.

ყრმები თანდათან უფრო და  
უფრო ინტერესდებოდნენ ქრის-  
ტიანული მოძღვრებით; და ბოლოს  
გადაწყვიტეს ქრისტიანებს შეერთე-  
ბოდნენ. „უკუეთუ გნებავს შემოსლ-  
ვად ჩუენ თანა ეკლესიად, გრწმენინ  
უფალი ჩუენი იესუ ქრისტე და ნა-  
თელ-იღეთ სახელისა მიმართ მისისა

და ეზიარენით საიდუმლოთა მისთა  
და შეგუერთენით ქრისტეანეთა“  
აუხსნეს ყრმებს მეგობრებმა.

ყრმებმა სიხარულით აღუთქ-  
ვეს ქრისტიანებს, რომ მოინათლე-  
ბოდნენ. კოლაელი ქრისტიანები  
სოფლის მღვდელთან მივიდნენ და  
აუწყეს ყრმათა სურვილი. იგი არ შე-  
უშინდა წარმართთაგან მოსალოდ-  
ნელ რისხვას და ზამთრის სუსხიან  
ღამეს ბავშვები მდინარეზე წაიყვანა  
მოსანათლად. ხუცესმა გაყინულ  
მდინარეში ჩაიყვანა ბავშვები და  
ნათელსცა მათ. ნათლობის დროს  
მოხდა სასწაული: ნყალი გათბა და  
ყრმებმა ნათლის ანგელოზები იხი-  
ლეს. ანგელოზთაგან განმტკიცე-  
ბულმა ბავშვებმა აღარ ისურვეს  
წარმართ მშობლებთან დაბრუნება  
და ქრისტიანებთან დარჩენა. მალე  
მშობლებმა გაიგეს შვილების ნათ-  
ლისლების ამბავი, ძალით გამოიყვან-  
ეს ისინი ეკლესიიდან და ცემა-ტყე-  
პითა და ლანძღვა-გინებით მიიყვან-  
ეს სახლში.

ბავშვებმა საოცარი მოთმინებით  
აიტანეს ყოველგვარი შეურაცხყოფა  
და ტანჯვა-წამება, შვიდი დღე-ღა-  
მე მშიერ-მწყურვალნი მუდამ ერთ-  
სა და იმავეს იმეორებდნენ: „ჩვენ  
ქრისტიანენი ვართ და არა ჯერ-არს,  
ვითარმცა ვჭამეთ და ვსუთ ნაგები  
კერპთა“. ვერც მოფერებამ, ვერც

სხვა სიკეთეთა აღთქმამ ვერ მოხიბ-  
ლა ქრისტემომოსილი ყრმები. „ჩუენ  
ქრისტიანენი ვართ და არარა გვკმს  
თქუენგან, არამედ განგვტევენით და  
წარვიდეთ ქრისტეანეთა თანა“, —  
ითხოვდნენ ისინი.

შვილების სიჯიუტით განრისხე-  
ბული მშობლები მთავართან მივიდ-  
ნენ და ყოველივე აუწყეს. მთავარმა  
მათ უთხრა: „შვილნი თქუენნი არიან,  
ველმნიფება გაქუს, უყავთ, რაცა  
გნებავს“. წარმართებმა მთავრისგან  
ბავშვების ქვით ჩაქოლვის ნებართ-  
ვა ითხოვეს, მდინარის სათავესთან,  
იქ, სადაც ყრმებმა ნათელილეს,  
დიდი ორმო ამოთხარეს და ბავშვე-  
ბი შიგ ჩაყარეს. „ჩუენ ქრისტიანენი  
ვართ და მისთვისცა მოვსწყდებით  
და მოვკუდებით, რომლისა მიმართ  
ნათელ-ვიღეთ“, — ეს იყო ყრმათა  
უკანასკნელი სიტყვები. უსჯულო  
მშობლებმა პირველებმა აიღეს ქე-  
ბი, შემდეგ თავმოყრილმა ბრბომაც  
მიჰბაძა მათ და მალე ორმო ქვებით  
ამოავსეს. წარმართებმა სიკვდილის  
პირას მიიყვანეს სოფლის ხუცესიც,  
გაძარცვეს და ნაძარცვი თვითონ  
დაინაწილეს.

ეს ამბავი მოხდა სამხრეთ საქარ-  
თველოში, ისტორიულ ტაოში.

# საკლესიო კალენდარი

- 1 მარტი (ხუთშ.)
  - 3 მარტი (შაბ.)
  - 4 მარტი, დიდი მარხვის I კვირა
  - 6 მარტი (სამშ.)
  - 8 მარტი (ხუთშ.)
  - 10 მარტი (შაბ.)
  - 11 მარტი, დიდი მარხვის II კვირა
  - 13 მარტი (სამშ.)
  - 17 მარტი (შაბ.)
  - 18 მარტი, დიდი მარხვის III კვირა
  - 19 მარტი (ორშ.)
  - 21 მარტი (ოთხშ.)
  - 22 მარტი (ხუთშ.)
  - 23 მარტი (პარ.)
  - 24 მარტი (შაბ.)
  - 25 მარტი, დიდი მარხვის IV კვირა
  - 29 მარტი (ხუთშ.)
  - 30 მარტი (პარ.)
  - 31 მარტი, დაუჯდომელის შაბათი
- ღირ. მონამე თევდორე აჭარელის ხსენება (XVIII-XIX ს.ს.);
  - დიდმონამე თეოდორე ტორონის ხსენება; (ნმ. იოანე ოქროპირის წირვა)
  - მართლმადიდებლობის ზეიმი; (ნმ. ბასილი დიდის წირვა)
  - ცხრა ყრმა კოლაელთა ხსენება (VI);
  - ნმ. იოანე ნათლისმცემლის თავის პირველად (IV) და მეორედ (452წ.) პოვნა; (პირველშენიერულის ლიტურგია)
  - მიცვალებულთა ხსენება; (ნმ. იოანე ოქროპირის წირვა)
  - ნმ. გრიგოლი პალამას, თესალონიკელი მთავარეპისკოპოსის ხსენება (დაახ. 1360წ.); (ნმ. ბასილი დიდის წირვა)
  - ღირსი კასიანე რომაელისა (435) და ღირსი იოანე დამასკელის (V) ხსენება;
  - მიცვალებულთა ხსენება; (ნმ. იოანე ოქროპირის წირვა)
  - ჯვრის თავყანისცემის კვირა; (ნმ. ბასილი დიდის წირვა)
  - მღვდელმონამე დოსითეოზ ქუთათელის ხსენება;
  - დიდი მარხვის განზოგება; (პირველშენიერულის ლიტურგია)
  - 40 მონამეთა, სებასტიის ტბასა შინა ნამებულთა ხსენება (დაახ. 320წ.); (პირველშენიერულის ლიტურგია)
  - ღირ. იოანე ხახულელის (ოქროპირად წოდებულის) ხსენება (X-XII ს.ს.); (პირველშენიერულის ლიტურგია)
  - მიცვალებულთა ხსენება; (ნმ. იოანე ოქროპირის წირვა)
  - ღირსი იოანე კლემასის ხსენება;
  - საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღე (1917წ.);
  - ნმ. მეფის დემეტრე თავდადებულის ხსენება (1289წ.);
  - ნმ. გრიგოლ დიალოლონის (რომის პაპის) ხსენება (604წ.);
  - ღირ. სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველის ხსენება (1021წ.); (ნმ. ბასილი დიდის წირვა)
  - ნმ. ამბროსი აღმსარებლის (ხელაიას) ხსენება (1927წ.); (პირველშენიერულის ლიტურგია)
  - ღირსი გაბრიელ მცირის ხსენება (1802წ.); (პირველშენიერულის ლიტურგია)
  - ღვთისმშობლის დაუჯდომლის გალობა; (ნმ. იოანე ოქროპირის წირვა)

# ჩვენი მოძღვარი

## ღირი მარხვა და აღდგომის ზესყინება და აღსასრული

— რას გვეტყოდით მარხვის შესახებ?  
 — მარხვის შესახებ წმიდა წერილშია უწყებულ და ღმერთმა მას თავად დაუდო საფუძველი ჯერ კიდევ ძველადქმისეულ ეკლესიაში (ლევ. 16, 29, 31; ნემ. 9, 1, 3; 1 მეფ. 7, 6; იოლ. 2, 15). იესო ქრისტემ მარხვა წმინდად ჰყო საკუთარი მაგალითით (მთ. 4, 2; ლკ. 4, 2) და თავის მონაფეებსაც იგივე მოუწოდა (იხ. მთ. 6, 16, 18; 9, 14, 15; 17, 21; ლკ. 2, 37; 5, 33, 34, 35). ისინიც მსახურებისათვის ყოველთვის მარხვით ემზადებოდნენ და ყველა ქრისტიანსაც ამას მოუწოდებდნენ (4. 123).

მარხვის შესახებ ქრისტიანული სწავლების უფრო ფართოდ წარმოჩენის მიზნით შემდეგ მაგალითებსაც მოუხმობთ:

I. **მარკოზ მახარებელი** (მკ. 9.29) მარხვის შესახებ მაცხოვრის შემდეგ სიტყვებს გვამცნებს: „ესე ნათესავი ვერ შესაძლებელ არს განსვლად, გარნა ღოცვითა და მარხვითა“. ასე რომ თვინიერ

მარხვისა, ვერვის ხელწიფების სათნოყოფა ღმრთისა.

ასევე, **მათე მახარებელი** (მთ. 6. 17-18) გვაუწყებს: „ხოლო შენ რაჟამს იმარხვიდე, იცხე თავი შენი და დაიბანე პირი შენი, რაითა არა ეჩუენო კაცთა მმარხველად, არამედ მამასა შენსა დაფარულად“ და სხვა...

II. ძალზე საყურადღებოა და მნიშვნელოვანი **წმიდა მამათა** ღვთისმშობლის ხსენება მარხვისათან დაკავშირებით. ასე მაგალითად:

— **ღირსი კასიანე რომაელის** შეგონებით: „მარხვა, თვითმიზანი არ არის, ანდა თავისთავად აუცილებელი. მისი დაცვა საჭიროა სულიერი და ხორციელი სინამდის მისაღწევად, რათა მოუძღურდეს და განქარდეს ცოდვა და ჩვენს სულში სიმშვიდე დაიასაფაროს...“ (3.186);

„ჩვენ, მიუხედავად მარხვის დიდი სურვილისა, ჯეროვნად მივიჩნევთ მას

იმ შემთხვევაში თუ იგი თვითნებური არ არის, ანუ ეკლესიის მიერ დადგენილ დროს აღესრულება და ზომიერებით ხასიათდება“ (3.133);

— **წმიდა ბასილი დიდის** სწავლებით: „მარხვა გვიცავს ცთუნებათაგან, თანამოაზრეა სიფხიზლისა, ხელშემწყობია კეთილზნობისა. მარხვა კეთილი მცველია სულისა, საიმედო მეგობარია სხეულისა, ღირსეულ კაცთა იარაღია, მოსაგრეთა განმსწავლელია. მარხვა ბრძოლისას კეთილშენიერ საქმეთა მოქმედია, მშვიდობიან დროს კი მდუმარების მასწავლელი“ (3.187);

— **წმიდა ეფრემ ასურის** მითითებით: „მარხვა სათნოა ღმრთისათვის, თუკი სიყვარულით, იმედითა და რწმენით ვმარხულობთ“ (3.186);

„უკეთუ უკიდურესად დატვირთავ სხეულს მარხვით, იგი დაამძიმებს სულს, და მას გაღიზიანება დაეფუძლება, უილაჯო და მერყევი გახდება, გაზარმაცდება



ლოცვაში და მორჩილებას დაუტევებს“ (3.133);

– ნმიდა იოანე ოქროპირი კი ასე გვმოდღვრავს:

„მარხვა წამალია, მაგრამ წამალი რაც არ უნდა სასარგებლო იყოს, ხშირად უსარგებლოდ შეიქმნება მათთვის, ვინც არ იცის როგორ გამოიყენოს იგი“ (3.133);

„მთავარი ღირსება მარხვისა და მისი მიზანი საკვებისაგან თავის შეკავება კი არ არის, არამედ ცოდვათაგან განმორეუბა. ასე რომ, ვინც მარხვისას მხოლოდ საკვებისაგან იკავებს თავს, იგი შეურაცყოფს მარხვას. დაე იმარხულონ ჩვენმა თვალებმა, ყურებმა, ხელებმა და ფეხებმაც კი, და საერთოდ ჩვენნი სხეულის ყველა ნაწილმა“ (3.133);

„შენ მარხულობ, არ ეხები რა ხორცს თუ სხვა რაიმე არასამარხო კერძს, მაგრამ იმარხულე თავშეკავებითაც, ურისხველობითაც, განუკითხველობითაც“... (3.134);

„შენ მარხულობ? მამ გაექეცი სიძვას, ცილისწამებას, სიცრუეს, ბილწსიტიყვაობას, მტრობას, ღვთის გმობას და ყოველგვარ ფაციფუცს. შენ მარხულობ? მამ გაექეცი მრისხანებას, ეჭვიანობას, ცრუ ფიცსა და ყოველგვარ უსამართლობას. შენ მარხულობ? გაექეცი ნაყოფანებას, რომელიც არის დედა ყოველი უწმინდურებისა, და რომელიც ჩვენ თვით ღმრთისგანაც კი განგვაშორებს. უკეთუ შენ ღვთისათვის მარხულობ, გაექეცი ყოველი იმ საქმეს, რომელიც სათნო არ არის ღვთისათვის. შენ მარხულობ? კეთილი მიაგე მას, ვისაც აწყენინე. ნუ იქნები შურიანი და კაცთმძულე. ნუ იქნები პატივმოყვარე“ (3.134).

– რომელი წიგნის წაკითხვას ურჩევდით მრევლს დიდ მარხვაში?

– ერთერთი ასეთი წიგნი ღირსი იოანე სინელის „კლემაქსი ანუ კიბე“ გახლავთ (2).

დიდი მარხვის IV კვირას დედა ეკლესია მე-7 საუკუნეში მოღვაწე **ღირსი იოანე სინელის (კიბისაღმწერლის)** ხსენებას აღნიშნავს. წმ. იოანე უდიდესი ავტორიტეტია ქრისტიანულ სამყაროში და ავტორია იმ ცნობილი წიგნისა, რომელსაც „კლემაქსი ანუ კიბე“ ეწოდება. ხსენებული წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება, რომელშიც წარმოდგენილია სწავლება სამონაზვნო გზას შედგომილთა და მწყემსთა და წინამძღვართათვის.

აღნიშნული სწავლება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მას ბერ-მონაზონთა მეორე სახარებასაც კი უწოდებენ და 13 საუკუნეზე მეტია ერთ-ერთ უდიდეს სახელმძღვანელოდ მიიჩნევა მათთვის, ვინც სრულყოფილების მიღწევა სურს და ღმერთთან მიახლება დაუსახავს მიზნად. სწორედ ამიტომ, ეკლესიის მოძღვარნი მორწმუნეებს „კლემაქსის ანუ კიბის“ კითხვას განსაკუთრებით დიდი მარხვაში ურჩევენ, რადგან მარხვასა და ლოცვასთან ერთად ღვთისსულიერ სწავლებას დაეწაფონ.

– სჯულის კანონში თუ არის რაიმე მითითება მარხვასთან დაკავშირებით?

– ნმიდა მოციქულთა 69-ე კანონის თანახმად:

„უბისკოპოსი, მღვდელი, დიაკონი, იპოდიაკონი, წიგნის მკითხველი ან მგალობელი, რომელმაც აღდგომის წინ წმინდა ორმოცეული, ან ოთხშაბათი და პარასკევი არ იმარხულოს, განკვეთილ იქნეს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხორციელი უძღურება ამის საშუალებას არ აძლევს. ერისკაცი კი ასეთივე ქმედებისათვის, ზიარებოდიან განკანონებით დაისაჯოს“ (4. 123)

შენიშვნა: „ერისკაცთათვის უზიარებლობით დასჯა, ანუ ეკლესიასთან ერთობიდან განყენება, გულისხმობს წმინდა ზიარებიდან განყენების გარდა, აგრეთვე, მორწმუნეებთან ერთად საეკლესიო მსახურებაში მონაწილეობის აკრძალვას. ამ სასჯელით განკანონებულს, მხოლოდ კათაკმეველებთან ერთად შეუძლია მსახურებაში მონაწილეობის მიღება, ე. ი. მორწმუნეთა ლიტურგიის დაწყებამდე“ (4. 47).

– დიდმარხვის პერიოდის მსახურება განსხვავდება მთელი წლის საეკლესიო მსახურების, მათ შორის ქრისტეშობის, პეტრეპავლობის და მარიაშობის მარხვათა მსახურებათაგან. რას ვიტყვით ამის შესახებ?

– აღნიშნული საღმრთისმსახურო-ლიტურგიკული განსხვავება ხსენებულ უდიდეს დღესასწაულთა საღმრთისმეტყველო მნიშვნელობიდან გამომდინარეობს.

წმიდა ეკლესია უდიდეს დღესასწაულთა დაწესებით, ადამიანთა ხსნის საღმრთო განგებულების არსს, საღმრთო აღმშენებლობის გზას წარმოაჩენს, რითაც საშუალებას აძლევს თითოეულ მორწმუნეს (ეკლესიის წიაღში) ღვთაებრივი ცხოვრების თანაზიარი გახდეს.

დიდი დღესასწაულების განხილვისას უცილობლად ორი გარემოება უნდა გავითვალისწინოთ:

1) თუ რა მოხდა (მამინ) ისტორიულად, ადამიანთა ხსნის საღმრთო განგებულებით, და

2) რა ხდება ახლა, ჩვენთვის, საღმრთო აღმშენებლობით.

განვმარტავთ, რომ ყოველივე ის, რაც აღსრულდა ადამიანთა ხსნისათვის (განკაცება, ნათლისღება, ჯვარზე ვენება, მკვდრეთით აღდგომა და ამაღლება), ადამიანურ ბუნებას ეხებოდა – დაცემული კაცობრივი ბუნების აღდგენას, რომელიც მთელ სისრულეს მაცხოვრის ზეცად ამაღლებისას იძენს. ხოლო ყოველივე ის, რაც ახლა ხდება ჩვენთვის, მართლმადიდებლური ეკლესიის საიდუმლოებებში მონაწილეობით, პიროვნებას ეხება და ადამიანის არჩევანზეა დამოკიდებული.

ამგვარად, ხსენებულ მარხვათა და სადღესასწაულო ღვთისმსახურებებში მონაწილეობით, საღმრთო ისტორიის ლიტურგიკული თხრობის თანამონაწილენი ვხდებით, თანაზიარნი ვხდებით ადამიანთა ხსნის საღმრთო განგებულებისა, რაც კონკრეტულ სადღესასწაულო მსახურებაშია წარმოჩენილი.

– დიდმარხვისა და ზატიკის პერიოდებში განსაკუთრებული მნიშვნელობისაა და მრავალ მორწმუნეს უჩნდება სურვილი უფრო მეტად ჩანვდეს მათ მისტიკურ მხარეს, რათა უფრო მომზადებული შეხვდეს ამ პროცესების დაწყებას. თუ შეიძლება გვესაუბრეთ ყოველივე ამის შესახებ.

– დიდი მარხვის პერიოდი განსაკუთრებული დროა თითოეული მართლმადიდებელი ქრისტიანის ცხოვრებაში. ეს არის დრო საკუთარი თავის უკეთ შეცნობისა, დრო სინანულისა და ცოდვებისაგან განწმენდისა, დრო ლოცვისა და მარხვისა, ქველმოქმედებისა თუ სხვა სათნოებათა აღსრულებისა.

დიდი მარხვა საპასეკო წლის მესამე, ბოლო პერიოდს მიეკუთვნება და იგი პირობითად სამ ქვეპერიოდად იყოფა: I პერიოდი – დიდი მარხვის მოსამზადებელი პერიოდი, ოთხ კვირა დღეს და სამ შვიდეულს მოიცავს. იგი მეზვერისა და ფარისევლის კვირის მსახურებით იწყება და ყველიერის კვირით სრულდება; II პერიოდი, ანუ საკუთრივ დიდი მარხვის პერიოდი, ექვს კვირა დღეს მოიცავს და ბზობის კვირით მთავრდება; III პერიოდი კი ვნების შვიდეული გახლავთ.

ვნების შვიდეული, მაცხოვრის ამქვეყნიური ცხოვრების უკანასკნელი დღეების გახსენებას ეძღვნება: საიდუმლო სერობას, მის გაცემას, პილატეს სამსჯავროს, ჯვარზე ვენებას, სიკვდილსა და საფლავად დადებას, რის გამოც ეს შვიდეული ვნების შვიდეულად იწოდება.

ვნების შვიდეულის პირველ სამ დღეს (ორშაბათს, სამშაბათსა და ოთხშაბათს) ღვთისმსახურებისას ოთხივე სახარება იკითხება, რათა თითოეული განიმსჭვალოს სახარებისეული სიბრძნით, რაც გახლავთ კიდევ ერთ-ერთი უცილობელი პირობა სულიერი გამოღვიძებისა, ფერისცვალების დაწყებისა, ადამიანთა განღმრთობისა. ამ დღეებში მორწმუნეთა ზიარებისათვის პირველმენიურის ლიტურგიაც აღესრულება.

დიდი ხუთშაბათის მსახურებაში მოთხრობილია იმ მოვლენებზე, რომლებიც წინ უსწრებდა მაცხოვრის ვენებას. კონკრეტულად: მოწაფეებთან ერთად ბოლო პასექის აღსრულება, ფეხთბანვა, ექვარისტიის საიდუმლოს დაწესება და იუდას მიერ მაცხოვრის გაცემა.

დიდი პარასკევის მთელი მსახურება მაცხოვრის ჯვარზე ვნების გახსენებას ეძღვნება და უდიდესი მწუხარებით არის განმსჭვალული. ცისკრის ჟამზე თორმეტი ვნების სახარება იკითხება. ამასთან, დღის მსახურების თითოეული ჟამნი ნათლად წარმოაჩენს მაცხოვრის ვნების სხვადასხვა სახეს – გუთსასმანის ბაღში სისხლით განზავებული ოფლით დაწყებული, გოლგოთაზე მისი ჯვარზე აღსრულებით დამთავრებული. თითოეული საგალობელი თუ საკითხავი სინანულის ცრემლითაა აღსავსე, გულის შემძვრელია და ცოდვის შემმუსვრელი, ამავე

(გაგრძელება მე-10 გვ.)

(დასაწყისი მე-9 გვ.)

დროს იმედის ჩამსახველიც.

დიდ შაბათს წმიდა ეკლესია იხსენებს მაცხოვრის საფლავად დადებას, ხორციელად საფლავში ყოფნას, ხოლო განდმრთობილი სულით კი ჯოჯოხეთში ჩასვლას და მართალთა სულების გამოხსნას, და მამასა და სულიწმიდასთან განუშორებლად თანამყოფობას. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დიდი შაბათის მსახურება გამშვენებულია ურთიერთსაპირისპირო სულიერ განცდათა საოცარი გამით: მწუხარებითა და სიხარულით, ცრემლითა და სულიერი აღმაფრენით, გულისტკივილითა და სულიერი გაცისკროვნებით.

და აი დგება ყველაზე ნანატრი დღე, მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომის დღე, საპასეჟო „ახალი წელი“, რომელიც არის დღე:

- სიკვდილიდან სიცოცხლეში გადასვლისა;
- მიწიდან ზეცად ამაღლებისა;
- სულიერი გაზაფხულის დადგომისა;
- საყოველთაო აღდგომის „დასაწყისისა“ (მეორედ მოსვლის ჟამს ყოველი ადამიანის მკვდრეთით აღდგომის მომინჭებული);
- დაცემული კაცობრივი ბუნების აღდგენისა (რომელიც მთელ სისრულეს მაცხოვრის ზეცად ამაღლებისას იძენს) და ა. შ.

აღდგომიდან ყოველთა წმიდათა კვირიაკემდე არსებულ საღმრთისმსახურო ინტერვალს ზატიკის პერიოდი ეწოდება. საეკლესიო მსახურებათა წლიურ ციკლში ზატიკის პერიოდი განსაკუთრებული საზეიმო ხასიათით და თავისებურებით გამოირჩევა, რაც დაკავშირებულია მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომასთან და მის შემდგომ პერიოდთან, ამაღლებისა და სულთმოფენობის დღესასწაულთა ჩათვლით.

ზატიკის პერიოდი პირობითად სამ ნაწილად იყოფა: 1. ბრწყინვალე შვიდეული; 2. თომას კვირიდან აღდგომის წარგზავნამდე; 3. ამაღლებიდან ყოველთა წმიდათა კვირიაკემდე. აღნიშნული პერიოდის ღმრთისმსახურება საოცარი თავისებურებებით გამოირჩევა, რაზეც ალბათ სხვა დროს ვისაუბრებთ.

**რატომ აღინიშნება აღდგომის დღესასწაული ყოველ წელს სხვადასხვა დროს, და რატომ ხდება აღდგომის თვისა და რიცხვის თანხვედრა გარკვეული პერიოდის შემდეგ?**

- აღდგომის დღესასწაული ძვ. სტ-ით 22 მარტიდან 25 აპრილის ჩათვლით მოიწევა. ზემოაღნიშნული, საეკლესიო მნიშვნელობას ეფუძნება, რომლის თანახმადაც პასექის თარიღის დადგენისათვის ოთხი პირობის დაცვა აუცილებელი:

1. პასექი იდღესასწაულდება გაზაფხულის ბუნიობის დღის (ძვ. სტ-ით 21 მარტის) შემდეგ;
2. შემდგომად პირველი სავსემთვარობისა (მთვარის მე-14 დღე), რომელიც გაზაფხულის ბუნიობის (დღელამტოლობის) დღეს ან მის შემდგომ მოიწევა

(რომელსაც საპასეჟო სავსემთვარობა ეწოდება);

3. კვირა დღეს, რომელიც საპასეჟო სავსემთვარობის შემდგომ მოიწევა; და ბოლოს,

4. არ უნდა დაემთხვეს იუდეველთა პასექს (ასევე არ უნდა მოიწიოს მასზე ადრე).

ქრისტიანული პასექის აღსრულების უადრესი და უგვიანესი ვადების შესახებ სწავლება, უაღრესად ნათლად არის წარმოჩენილი წმ. იოანე ოქროპირის მიერ, რომლის მიხედვითაც:

- თუ სავსემთვარობა 20 მარტს მოიწევა, ჩვენ დაუტევებთ მას და მომდევნო სავსემთვარობას დაველოდებით, ხოლო თუ სავსემთვარობა 21 მარტს ან მის შემდგომ უახლოეს დღეებში მოიწევა, ჩვენ მას ვღებულობთ. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ სავსემთვარობისას არ უნდა იყოს კვირა დღე, ხოლო შვიდეულის სხვა დღე კი მისაღებია. მაშინ ცხადია, რომ თუ 21 მარტს (დღელამტობისას) მოიწევა სავსემთვარობა (მთვარის მე-14 დღე), და ეს დღე დაემთხვევა შაბათს, უადრესი თარიღი ქრისტიანული პასექისა 22 მარტს - კვირა დღე იქნება. ამდენად, აღდგომის დღის განსაზღვრისას მარტის სავსემთვარობა, რომელიც 21 მარტზე ადრე მოიწევა, მაგალითად 19 მარტს, არ ითვლება საპასეჟოდ. ამგვარად, თუ მარტის სავსემთვარობა 19

ლაგება, ანუ აღდგომის დღესასწაული ხდება პერიოდული. ასე მაგალითად (ძვ. სტ-ით) აღდგომის დღე მოიწევა:

- 22 მარტს - 319, 414, 509, 604 და ა.შ. წლებში;
- 29 მარტს - 313, 324, 403, 408 და ა.შ. წლებში;
- 1 აპრილს - 294, 305, 367, 378 და ა.შ. წლებში;

და სხვა. საპასეჟო გამოთვლათა თეორიულ საფუძვლებზე დაყრდნობით, პასქალისტიკის მიერ აღდგომის დღის საანგარიშო „სამარადისო“ ცხრილი იქნა შემუშავებული (იხ. ქვემოთ), რომლის მიხედვითაც ნებისმიერ მკითხველს (რომელიც ელემენტარულ არითმეტიკულ მოქმედებებს ფლობს) შეუძლია თავადაც გამოთვალოს ამა თუ იმ კალენდარული წლის აღდგომის თარიღი. ამ ცხრილით სარგებლობისას მოცემული კალენდარული წლის რიგითი ნომერი (N) 28-ზე და 19-ზე უნდა გაიყოს. 28-ზე გაყოფის ნაშთები ზევით - ჰორიზონტალურ სვეტში უნდა ვეძიოთ, ხოლო 19-ზე გაყოფის ნაშთები კი ცხრილის მარცხენა მხარეს - ვერტიკალურ სვეტში. მიღებული ამ ორი რიცხვის (ანუ ნაშთების) შემცველი ვერტიკალისა და ჰორიზონტალის გადაკვეთაზე მდებარე რიცხვი, აღდგომის დღის მაჩვენებელი იქნება.

- პირადად თქვენ რა მიგაჩნიათ მრევ-

		28-ზე გაყოფის ნაშთები														მარტი	
		9	15	4	10	5	11	6	17	1	7	2	13	3	8		
19-ზე გაყოფის ნაშთები	15	24	23	22	28	27	26	25									
	4	24	23	29	28	27	26	25									
	12	31	30	29	28	27	26	25									
	1	31	30	29	28	27	26	1									
	9	31	30	29	28	3	2	1									
	17	31	30	5	4	3	2	1									
	6	31	6	5	4	3	2	1									
	14	7	6	5	4	3	2	8									
	3	7	6	5	4	3	9	8									
	11	7	6	5	11	10	9	8									
	0	7	6	12	11	10	9	8									
	8	14	13	12	11	10	9	8									
	16	14	13	12	11	10	16	15									
	5	14	13	12	11	17	16	15									
	13	14	13	19	18	17	16	15									
	2	14	20	19	18	17	16	15									
	10	21	20	19	18	17	16	22									
	18	21	20	19	18	24	23	22									
	7	21	20	19	25	24	23	22									

მარტს დაემთხვა, ჩვენ დაუტევებთ მას და დაველოდებით სავსემთვარობას, რომელიც 30 დღის შემდეგ - 18 აპრილს მოიწევა. ამასთან, თუ 18 აპრილი (ე.ი. სავსემთვარობა) კვირა დღეს დაემთხვევა, აღდგომის დღე მომდევნო კვირა - 25 აპრილი იქნება, რომელიც არის კიდევ ქრისტიანული პასექის უგვიანესი ვადა (1. 968-970).

რაც შეეხება აღდგომის თარიღის განმეორებადობის საკითხს, იგი პასქალიაში გამოყენებული პასქალურკალენდარული ციკლებით (4-წლიანი, 28-წლიანი „მზის ციკლი“, 19-წლიანი „მთვარის ციკლი“, 532-წლიანი ციკლი - დიდი ინდიქტიონი) არის განპირობებული, რის გამოც მეორდება მთვარის ფაზების, კვირის შვიდეულის დღეებისა და თვის რიცხვების გან-

ლისათვის სულიერი წარმატების აუცილებელ წინაპირობად?

- ის, რასაც ბრძანებს უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II, რომ თითოეული განადიდებდეს უფალს, უყვარდეს სამშობლო (მამული) და უყვარდეს მოყვასი. სხვაგვარად შეუძლებელია თანაზიარი გახდე ადამიანთა ხსნის საღმრთო აღმშენებლობის გზისა, რისი დასაწყისიც ნათლისღება გახლავთ, შუა ნაწილი - ღვთისსათნო ცხოვრება და საქმეთა სახარებისეული სწავლებით წარმართვა, ხოლო დასასრული - ვნებებზე გამარჯვება (5. 217).

წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მღვდელმსახური დეკანოზი პიპინა (გუნია)




"ყველაფერია  
პოეტის  
ლექსი"



ნუბილიურ სიხუქარზე ძვირფასი





## ბუთანია

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),  
ლია სენიაშვილი, ნოდარ სილაგაძე, ირინა ქეცბა  
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცილო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“

მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. №37, IV სართ. ტელ.: 293-17-20, 599-05-96-11. ტირაჟი: 500 ცალი